

ბასილი დიდის შემოქმედება

კოსმოგონია

არა მხოლოდ ბასილი დიდის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში სამყაროს წარმოშობის მიზეზთა განმმარტებელ თხზულებათა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს „ჰომილიებს ექვსი დღისათვის“, რომელიც დიდმა კაპადოკიელმა მოაზროვნემ ამ ყოველი ეპოქისათვის განსაკუთრებით აქტუალურსა და მწვავე პრობლემას მიუძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაწყვეტისათვის შუა საუკუნეებისა თუ თანამედროვე ფილოსოფიის ყველაზე ცნობილი და სახელოვანი მოაზროვნენი იღვწოდნენ, კითხვები: საიდან, როგორ და როდის წარმოიშვა კოსმოსი (სამყარო) ისევ იმ კითხვებად რჩება, რომლებზეც ყოველმხრივ დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხის გაცემა ვერც მათ და ვერც თანამედროვე მეცნიერებამ ვერ შეძლეს. საქმე ისაა, რომ როგორც მე-20 საუკუნის ცნობილი ქრისტიანი ღმრთისმეტყველი და ფილოსოფოსი ვლ. ლოსკი აღნიშნავს, „წარმოშობილი ყოფიერება სამყაროსი ნაკლებ იდუმალი როდია, ვიდრე თვით ღმრთეებრივი სამების ყოფიერება“.¹

ქრისტიანი მოაზროვნენი ფიქრობენ, რომ ამ საიდუმლოსთან მიახლოება მხოლოდ გონებით შეუძლებელია, და მისი ჭვრეტისათვის, როგორც ამას პავლე მოციქული გვასწავლის, აუცილებლად რწმენაა საჭირო: **სარწმუნოებით გვცნობიეს დამყარებად საუკუნეთა სიტყვთა ღმრთისაფთა, არა – საჩინოდსაგან ხილულად შექმნულად** (ებრ. 11,3).

ქრისტიანული კოსმოგონია ძირეულად განსხვავდება როგორც მატერიალური (მატერია სულისა და ცნობიერებასთან მიმართებაში პირველადია, ამდენად იგი შეუქმნელი, მარადიულად არსებული, უსასრულო, თვითმოძრავი და კანონზომიერად თვითგანვითარებადია), ასევე დუალისტური (სამყაროს ორი საწყისის – მატერიალურისა და იდეალურის აღიარება) და პანთეისტური (რომელიც სამყაროს ღმერთთან აიგივებს) თეორიებისაგან.²

ქრისტიანული მოძღვრება კოსმოგონიაზე მონისტური და იდეალისტური ხასიათისაა, ანუ სამყაროს ერთი საწყისი და მიზეზი აქვს – იგი ღმერთმა შექმნა, როგორც ამას ბიბლიის პირველი წიგნი „შესაქმე“ („დაბადება“) გვამცნობს. ის, რაც სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებში ვრცელი მსჯელობის საგანს წარმოადგენს, ამ წიგნში სულ რამდენიმე მუხლშია გადმოცემული და ღმრთეებრივი წარმომავლობისაა, რადგან სამყაროს შექმნის ისტორიის მთხრობელმა, მოსე წინასწარმეტყველმა, ვინც ღმრთის პირისპირ ხილვის ღირსი გახდა, „ის მოგვითხრო, რაც მისგან ესმა“.³

ბიბლიური შესაქმის კომენტარებს ბასილი დიდი იმის განცხადებით იწყებს, რომ სამყაროს „შექმნა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, თავისით არ მომხდარა, არამედ მიზეზი ღმრთისაგან მიიღო“.⁴

¹ В. Лосский, *Догматическое богословие*, М., 1991, гл. 50.

² *Философский энциклопедический словарь*, М., 1983.

³ ბასილი დიდი, *თხზულებანი*, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გვ. კობლატაძემ, სსგ. თბ., 2003, გვ. 206.

⁴ იქვე, გვ. 205.

ელინური ფილოსოფიის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენლებმა, თუმცა სამყაროს წარმოშობაზე ბევრი იმსჯელებს და მრავალი მოძღვრებაც შექმნეს, მაგრამ ყოველი მათგანი სუსტი და მოძღვენოსაგან ადვილად დასამხობი გამოდგა, რადგან მხოლოდ საკუთარი გონებით ვერ შეძლეს შეცნობა ჭეშმარიტებისა, რომელიც მოსეს გამოცხადებით (ანუ თავად შემოქმედისაგან) ებოძა და ვერ თქვეს, ერთი შეხედვით, ისეთი უბრალო ფრაზა, როგორიცაა: **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ** (შესქ. 1,2).

ამ ამოსავალი დებულების გვერდით დგას ასევე ძირითადი დებულებაც იმის თაობაზე, რომ ღმერთმა სამყარო არაფრისაგან (ex nihil) შექმნა. სწორედ ეს დებულება განსაზღვრავს ქრისტიანული მსოფლმხედველობის მონიზმს (ერთი საწყისის აღიარებას), რადგან იგი უარყოფს მატერიის მარადიულობას და ამდენად, როგორც მატერიალიზმს, ისე დუალიზმსაც უპირისპირდება.

ბასილი დიდის სწავლებით, დაუსაბამო, შეუქმნელი და მარადიული მხოლოდ ღმერთია. მან ჯერ „მოიფიქრა, როგორი უნდა ყოფილიყო სამყარო და მისი ხატის შესაფერისი მატერია მერე შექმნა“⁵ – წერს იგი.

შემდეგში ეს თვალსაზრისი შესაქმეში ცნობიერებისა და ფორმის პირველადობის შესახებ. ქრისტიანულმა ღმრთისმეტყველებამ კიდევ უფრო დააზუსტა და განავრცო (ფსევდო დიონისე არეოპაგელი, მაქსიმე აღმსარებელი).

„ექვსთა დღეთას“ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ სამყარო სწორედ შესაქმის შედეგია და არა ღმრთეების თვით განფენა-გამოვლენა თუ არეკვლა-ემანაცია. ისევე როგორც კაცობრივ შემოქმედებაში ავტორები არ ჩანან, მაგრამ მათ ნიჭსა და ოსტატობაზე თავად ქმნილებანი მეტყველებენ, ასევე სამყაროც ის მხატვრული ქმნილებაა, რომლის ჭკრეტიტაც მისი უხილავი შემოქმედის სიბრძნესა და ხელოვნებას შევიცნობთ. სწორედ ამიტომ, ასკვნის ბასილი დიდი, ბრძენმა მოსემ სამყაროს წარმოშობისათვის სხვა სიტყვა კი არ გამოიყენა, არამედ თქვა, რომ ღმერთმა სამყარო **შექმნა** (epoihse). ეს ის შემთხვევაა, როცა ტერმინი მსოფლმხედველობის ძირითად შინაარსს იტევს.

სამყარო ყოველადწმიდა სამების ქმნილებაა, ანუ მის შექმნაში წმ. სამების სამივე პირი მონაწილეობს. ბასილი დიდის სწავლებით, ღმრთის სიტყვა, რომლითაც სამყარო იქმნება – **და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი** (შესაქმ. 1,3), სამების მეორე პირი (ჰიპოსტასი) – ღმრთეებრივი ლოგოსი, იესო ქრისტეა. რა თქმა უნდა, ღმრთის სიტყვა არსებითად განსხვავდება ჩვენი სიტყვისაგან. როგორც ბასილი დიდი განმარტავს, ღმრთის სიტყვა მისი ღმრთეებრივი ნებისა და აზრის აღძვრას – ამოქმედებას გულისხმობს. ხოლო, მუხლში: **სული ღმრთისაჲ იქცეოდა წყალთა ზედა** (შესაქმ. 1,2) მესამე ჰიპოსტასი – სულიწმიდა იგულისხმება, რომელიც „ღმრთეებრივსა და ნეტარ სამებას აღავსებს“ და ცხოველსმყოფელია.

ბასილი დიდი სწორად განსაზღვრავს დროის ფილოსოფიურ კატეგორიას, როცა წერს, რომ იგი სამყაროსთან ერთად წარმოიშვა და მის მსგავსად ცვალებადია. ისევე როგორც ქმნილებას, რომელიც ან იზრდება, ან ბერდება და იხრწნება,

⁵ იქვე, 88-220.

მყარი და მტკიცე არაფერი აქვს, დროსაც არავითარი სიმყარე არ გააჩნია: „წარსული გაქრა, მომავალი ჯერ არ დამდგარა, ხოლო აწმყო ჩვენს შეგრძნებას მანამდე გაურბის, ვიდრე მის შეცნობას მოვასწრებდეთ“.⁶

მართალია, დროსთან ერთად შექმნილი სამყარო დროშივე აღესრულება, მაგრამ ეს აღსასრული არა მის სრულ გაქრობასა და არარსებობას, არამედ მხოლოდ სახეცვლილებასა და სხვაგვარად არსებობას გულისხმობს, ხოლო რაც თავად დროს შეეხება, იგი საერთოდ აღარ იარსებებს, რადგან, როგორც ამას გრიგოლ ღმრთისმეტყველიც გვასწავლის, ღმრთის მარადიული სიტყვით შექმნილ სამყაროს არსებობა დროის გარეშეც შეუძლია,⁷ ხოლო იოვანე დამასკელის განმარტებით, ნაცვლად მარად მედინი დროისა, ერთი დაუღამებელი დღე იქნება.⁸

რამდენადაც ღმრთის განგებულება შექმნილი, კაცობრივი გონებისათვის მიუწვდომელია, ქრისტიანი ღმრთისმეტყველები კითხვაზე: რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო, ზუსტი პასუხის გაცემაზე უარს ამბობენ, თუმცა ყველა ქმნილებაში აღბეჭდილი კვალი ღმრთეებრივი სიკეთისა მაინც აძლევთ საფუძველს განაცხადონ, რომ სამყარო ღმერთმა სიყვარულით და სიყვარულისთვის შექმნა. ქრისტიანული ღმრთისმეტყველებით, ღმერთმა სამყარო იმიტომ კი არ შექმნა, რომ მას თავისი შემოქმედი ელიდებინა, ანუ მაღიდებელი ჰყოლოდა, რადგან მისი აბსოლუტური სრულყოფილება იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთს არაფერი და მათ შორის, არც დიდება არასოდეს არ აკლდა. აქედან გამომდინარე, თვითონ კი არ საჭიროებს მაღიდებელს, არამედ, პირიქით, რამდენადაც უსაზღვრო სახიერება და სიყვარულია, სურს თავისი დიდების მაღლისმიერი თანამოზიარენი ჰყავდეს: „მისი დიდება ეცხადება ზეციურ ძალებს, ირეკლება ადამიანში, ხილული სამყაროს მშვენიერებაში იხატება; ანიჭებს რა მას თანამოზიარეებს, შემდეგ მათგან ისევ მას უბრუნდება. ამგვარად, ღმრთის დიდების, ასე ვთქვათ, წრიულ ბრუნვაში მდგომარეობს ნეტარი სიცოცხლე და კეთილყოფიერება ქმნილებისა“.⁹

ასე რომ, მიზანი ქმნილებისა განღმრთობა ანუ ღმრთეებრივ დიდებასა და ნეტარებასთან ზიარებაა, ხოლო გზას ღმრთის მაღიდებლობა წარმოადგენს ღმრთის მაღიდებელი კი მხოლოდ ის შეიძლება გახდეს, ვინც ღმრთისმოსაობით ცხოვრობს და კეთილ საქმეებს აღასრულებს. მაშასადამე, სამყარო გონიერ ქმნილებათა ზნეობრივი განვითარებისა და მათი სიკეთეში თანდათანობით სრულყოფისათვის ყოფილა შექმნილი. თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სამყაროს შექმნის მიზანს ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა და ამ გზით შემოქმედის შემეცნება და მის დიდებასთან ზიარება წარმოადგენს, მხარს ბასილი დიდცი უჭერს. მისი აზრით, სამყაროს აღნაგობა და მასში არსებული საოცარი წესრიგი უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი შექმნის მიზეზი სიყვარულია და, მრავალფეროვნების მიუხედავად, მის მთლიანობას სწორედ სიყვარული განაპირობებს. იგი წერს: ღმერთმა „სხვადასხვა ნაწილისაგან შედგენილი სამყარო ერთ მთლი-

⁶ ბასილი დიდი, თხზულებანი, ... გვ. 210.

⁷ გრიგოლ ღმრთისმეტყველი, Or. 29, 13. PG. 36, 89-92.

⁸ იოვანე დამასკელი, De fide orth. II, PG. 94, 864.

⁹ Митр. Московский Филарет, Слова и речи, М., 1874, т. 2, гл. 36-37.

ანობად და ჰარმონიად სიყვარულის ურღვევი კავშირით შეკრა. ასე რომ, ერთმანეთისგან მდებარეობით ფრიად დაშორებული ნაწილები ურთიერთმიზიდულობის ძალით შეერთებულად მოჩანს¹⁰.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის შედეგად ბასილი დიდი ასკენის, რომ სამყაროში „არაფერია ისეთი, რომლისთვისაც უფალი არ იღვწოდეს და არ ზრუნავდეს. თვალი იგი დაუძინებელი ყოველივეს ხედავს და ხსნას ყოველივეს ანიჭებს“¹¹.

კვალი დამბადებლის უსაზღვრო სახიერებისა და სიყვარულისა, ერთი შეხედვით, თვით ყველაზე უმნიშვნელო ქმნილებებშიც კი მოჩანს. მაგალითად, რადგანაც ზღვის ფრინველი, ჭარლი (ალკუნ) კვერცხებს ზედ ზღვის ნაპირას, ქვიშაზე დებს და მათზე შუა ზამთარში ზის, იმ შვიდი დღის განმავლობაში, რომელიც მას ბარტყების გამოსახეკად სჭირდება, ყველა ქარი წყნარდება, ზღვა მშვიდდება და, რაც კიდევ უფრო საკვირველია, დედას რომ მათი კვება გაუადვილდეს, უფალი მას მეორე, ასევე სიმშვიდით გამორჩეულ შვიდ დღეს აძლევს. ამ მრავლისმეტყველ მაგალითს „ექვსთა დღეთას“ ავტორი სხვა ასპექტითაც, სახელდობრ, ჩვენი ზნეობრივი განსწავლისთვისაც იყენებს და გვსაყვედურობს სულმოკლეობის გამო, რომელსაც მაშინვე ვიხენთ, როგორც კი ცხოვრების გზაზე თუნდაც მცირე წინააღმდეგობას წავაწყდებით. „უკეთუ ღმერთმა, – გვეკითხება იგი, ასე პატარა ფრინველისათვის დიდი და საშიში ზღვა დააყენა და შუა ზამთარში სიმშვიდე უბრძანა, რა სასწაული არ მოხდება შენთვის, რომელიც ხატად ღმრთისად ხარ შექმნილი?“¹²

ბუნებრივია, ყველაზე დიდი სიყვარული შემოქმედისა წილად მაინც ადამიანს ერგო, რაზეც მისი არა მხოლოდ გონიერი და არამატერიალური ბუნება (უკვდავი სული), არამედ ფიზიკური აღნაგობაც – ვერტიკალური აღმართებულობაც მეტყველებს, რის გამოც ბასილი დიდი მას ხატოვნად ზეცის მცენარეს უწოდებს. ვარსკვლავებით შემკული ცა, გამშვენებული დედამიწა, ნაშობებით მდიდარი ზღვა თუ ფრინველებით სავსე ჰაერი ღმერთმა სწორედ ადამიანისათვის შექმნა და მას უბოძა, მაგრამ მას არა ბოძებულით ქედმაღლობა და ამპარტავნება, არამედ დამბადებლისადმი მადლიერება ჰმართებს. ადამიანმა ხილულთა მეშვეობით მათი უხილავი შემოქმედი უნდა განჭკვრიტოს და უწინარესად სიყვარულში მიბადოს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ღირსი იმისა, რომ, როგორც ბასილი დიდი წერს, სამყაროს პატიოსანი და ნეტარი სანახაობა თვითონაც შეავსოს.

¹⁰ ბასილი დიდი, თხზულებანი,გვ. 220.

¹¹ იქვე, გვ. 291.

¹² იქვე, გვ. 301.